სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №7

ქ. თბილისი **2013 წლის 18 ნოემბერი**

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 22 წევრი: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. გეგეჭკორი არნოლდი 5. ელიაშვილი მერაბი 6. თუთბერიძე ბეჟანი 7. ომანაძე როლანდი 8. კვერენჩხილაძე გიორგი 9. ბენდელიანი ბექა 10. მარგველიშვილი ვლადიმერი 11. თურქიაშვილი შორენა 12. მაცაბერიძე მალხაზი 13. წერეთელი მარი 14. ჩოხელი ლევანი 15. ბარამიძე ცირა 16. ბახტაძე მიხეილი 17. ბრაჭული ირაკლი 18. გელოვანი ნანი 19. ლორია კახაბერი 20. პაიჭაძე თამარი 21. ჯღამაძე უჩა 22. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. პაპავა ვლადიმერი (რექტორი) 2. გაფრინდაშვილი ნანი 3. ქურდაძე რამაზი 4. დავითაშვილი ზურაბი 5. გერსამია მარიამი 6. ნადარაია ელიზბარი 7. სურგულაძე ნუგზარი 8. გველესიანი რევაზი 9. მარშავა ქეთევანი 10. გალდავა გიორგი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების შეტანის საკითხი.
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დებულების დამტკიცება.
3. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის №127/2013 დადგენილების დამტკიცება.
4. ,,ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ‘‘ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის №126/2013 დადგენილების დამტკიცება.

5. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის“ შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 11 ნოემბრის №124/2013 დადგენილების დამტკიცება.

6. „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 დეკემბრის №118/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 21 ოქტომბრის №116/2013 დადგენილების დამტკიცება.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებების პროექტი და აღნიშნა, რომ პროექტში ასახულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები. აუცილებელია უნივერსიტეტის წესდების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. წარმოდგენილი ცვლილებები ძირითადად ტექნიკურ ხასიათს ატარებს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონმა ელგუჯა მექვაბიშვილმა და ქალბატონმა ცირა ბარამიძემ, ასევე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ და აკადემიური საბჭოს წევრმა, ბატონმა რამაზ ქურდაძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. მიღებულ იქნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებების პროექტი. (დანართი 3) 2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებების პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

2. თსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ტარიელ ზარანდიამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დებულების პროექტი და აღნიშნა, რომ პროექტის თანახმად, დეპარტამენტის სტრუქტურა ნაწილობრივ იცვლება, ასევე, ხდება აქამდე არსებული მოწესრიგების დახვეწა, მომავალში კი ყველა ფაკულტეტზე დეპარტამენტი წარმოდგენილი იქნება თითო თანამშრომლით.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა გიორგი კვერენჩხილაძემ და ბეჟან თუთბერიძემ, აკადემიური საბჭოს წევრმა, ქალბატონმა მარიამ გერსამიამ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის სტრუქტურა და დებულება (დანართი 4) 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის და ოპერაციების მართვის დეპარტამენტის მოქმედი დებულება.

3. თსუ-ს რექტორისა და აკადემიური საბჭოს აპარატის კონსულტანტმა, ბატონმა სერგი ჯორბენაძემ წარმოადგინა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა

არჩევის წესის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის №127/2013 დადგენილება. მისი განმარტებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, აუცილებელი გახდა აქამდე არსებული არჩევის წესის შეცვლა. განახლებული ვარიანტი დადგენილებით უკვე მიიღო აკადემიურმა საბჭომ და აუცილებელია იგი წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცოს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის №127/2013 დადგენილება. (დანართი 5) 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესი“.

4. თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის №126/2013 დადგენილება. აღნიშნული დადგენილებით იცვლება უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის კონკურსთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები, დადგინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრინციპი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს საკონკურსო კომისიამ, ასევე, წესში

გათვალისწინებულ იქნა კონკურსის ობიექტურობისა და გამჭვირვალეობისათვის აუცილებელი დებულებები.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ქალბატონებმა - ცირა ბარამიძემ და ინეზა გაგნიძემ, ბატონებმა - ბეჟან თუთბერიძემ და ვლადიმერ მარგველიშვილმა, რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ,,ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის №126/2013 დადგენილება. (დანართი 6)

5. რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ წარმოადგინა „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის ,,სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის“ შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 11 ნოემბრის №124/2013 დადგენილება. რექტორის განცხადებით, ცენტრი იმუშავებს ინტერდისციპლინურ და კომპლექსურ კვლევებზე, მისი პრიორიტეტი იქნება საერთაშორისო და ეროვნული გრანტების მოზიდვა, უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამშრომლობის გაღრმავება და ერთობლივი პროექტების განხორციელება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ,,სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის" შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 11 ნოემბრის №124/2013 დადგენილება. (დანართი 7)

6. თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქალბატონმა ნატალია ბარათელმა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო ,,ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 დეკემბრის №118/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 21 ოქტომბრის №116/2013 დადგენილება და აღნიშნა, რომ ცვლილებები მხოლოდ ტექნიკურ ხასიათს ატარებს, რაც გამოწვეულია უნივერსიტეტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსის შეცვლით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ,,ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 დეკემბრის №118/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" სსიპ ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 21 ოქტომბრის №116/2013 დადგენილება. (დანართი 8)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2013 წლის 18 ნოემბერი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- ჩაბაკაური გიორგი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- კერესელიძე დავითი

სტუდენტები:

- გუბაძე ვასილი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- მარგველიშვილი ვლადიმერი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- ჯღამაძე უჩა

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2013 წლის 18 ნოემბერი

- პაპავა ვლადიმერი (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- დავითაშვილი ზურაბი
- გერსამია მარიამი
- შენგელაია ალექსანდრე
- ნადარაია ელიზბარი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- გველესიანი რევაზი
- მარშავა ქეთევანი
- თოდუა ფრიდონი
- გალდავა გიორგი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში (www.matsne.gov.ge, 45109, 11/09/2013, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.016655) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,5. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ."

2. მე-8 მუხლის პირველი პუნქტის:
ა) ,,პ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,პ) ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;"
ბ) „ფ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ფ) განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;"

3. მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ ორმაგი ოდენობით. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს, როგორც სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ.

4. მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,რ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,რ) აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური პერსონალის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას;"

5. მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15 პუნქტი:
,,15. რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რექტორის მოვალეობის შემსრულებელს (რომელიც სარგებლობს რექტორისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით მინიჭებული სრული უფლებამოსილებებით) ირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე ყველა პირი."

6. მე-15 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,5. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებითი უარი წლიური ანგარიშისა და ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
ბ) წარმომადგენლობითი საბჭოს მოტივირებული გადაწყვეტილება.

გ) საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები.“

7. მე-16 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) ,,დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) ადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;“

ბ) ,,კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,კ) ადგენს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის პროექტს, მისი შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;“

გ),,ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ლ) ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ საკუთარი ბიუჯეტის პროექტის შედგენასა და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენას, წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის პროექტის ფორმირებასა და დამტკიცებას.“

8. 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. დეკანად შეიძლება აირჩეს უნივერსიტეტის ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.“

9. 22-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.“

10. 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან. მათ გარდა, ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების შემადგენლობაში შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოწვეული იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირიც.“

11. 27-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 27. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.
2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.
3. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.
4. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.“

12. 28-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. კონკურსს აცხადებს რექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს საკონკურსო კომისია, რომელიც იქმნება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, რექტორის წარდგინებით. საკონკურსო კომისიის მიერ, შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, კენჭისყრის საფუძველზე გამოვლენილი გამარჯვებულები (კონკურსის შედეგები) დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს.”

13. 29-ე მუხლის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 29. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.
2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, 4 წლის ვადით.
4. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი, 4 წლის ვადით.
5. დასაშვებია პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლის პირველი – მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული პირობებით აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი განისაზღვრება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით.“

14. 32-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) უკავია უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობა;

გ) ორჯერ მაინც იყო არჩეული უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობაზე;“

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ემერიტუსის წოდება პირს ენიჭება შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე. უფლებამოსილ პირს, მისი შრომითი ხელშეკრულების ვადის ნახევრის გასვლის შემდგომ, მაგრამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, აქვს უფლება მოითხოვს მისთვის ემერიტუსის წოდების მინიჭება, პროფესორის თანამდებობიდან გათავისუფლების პირობით. ემერიტუსის წოდების მინიჭებისთანავე იგი თავისუფლდება უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობიდან.“

გ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. უნივერსიტეტის 65 წლის ან მეტი ასაკის პროფესორი, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება და გააკეთოს განაცხადი ან ემერიტუსის წოდების მისანიჭებლად ან უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების შესახებ განაცხადის გაკეთების შემდგომ პირი ვერ დაიკავებს პროფესორის თანამდებობას, იგი კარგავს ემერიტუსის წოდების მინიჭებაზე განაცხადის გაკეთების უფლებას.“

15. 33-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. უნივერსიტეტში:

ა) რექტორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება პროფესორის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის არანაკლებ 1,15 კოეფიციენტზე და არაუმეტეს 1,35 კოეფიციენტზე ნამრავლის ფარგლებში;

ბ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება პროფესორის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის არანაკლებ 1,10 კოეფიციენტზე და არაუმეტეს 1,30 კოეფიციენტზე ნამრავლის ფარგლებში;

გ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება ასოცირებული პროფესორის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის არანაკლებ 1,10 კოეფიციენტზე და არაუმეტეს 1,30 კოეფიციენტზე ნამრავლის ფარგლებში;
დ) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესაბამისი თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის არანაკლებ 1,10 კოეფიციენტზე და არაუმეტეს 1,30 კოეფიციენტზე ნამრავლის ფარგლებში.“

16. 35-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 ქვეპუნქტი:
,,8. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე პირის არჩევა წარმოადგენს, მისთვის აკადემიური თანამდებობის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველს.“

17. 44-ე მუხლს პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. უნივერსიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებას კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
2. უნივერსიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტი შემუშავდება ფაკულტეტებთან და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კონსულტაციით.“

18. 52-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. ამ წესდების მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი ამოქმედდეს 2014 წლის 20 ოქტომბრიდან. აკადემიური საბჭოს ის ერთი მესამედი, რომელიც ექვემდებარება განახლებას დგინდება წილისყრით. წილისყრა და მისი ჩატარების პრინციპი დგინდება აკადემიური საბჭოს მიერ აკადემიური საბჭოს სხდომაზე.“

19. 52-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:
,,4. ამ წესდების 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზნებისათვის ამ წესდების ამოქმედებამდე აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული სრული პროფესორი ჩაითვალოს ამ წესდებით გათვალისწინებულ პროფესორად.
5. ამ წესდების ამოქმედებამდე აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ მოქმედ ასისტენტ-პროფესორზე, აკადემიურ თანამდებობაზე დარჩენილი ვადის ამოწურვამდე, არ ვრცელდება ასისტენტ-პროფესორისათვის ამ წესდებით დადგენილი მოთხოვნები.“

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თამარ სანიკიძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლის 1. ზოგადი დებულებები

1.1 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი (შემდგომში - „დეპარტამენტი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.

1.2 დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, , უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

1.3 დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანონნმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოველობებს და ანგარიშშვალდებული მათ წინაშე.

მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები.

2.1 უნივერსიტეტის საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა და გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა;

2.2 უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგიის განსაზღვრა და მის საფუძველზე ერთიანი პოლიტიკის გატარება;

2.3 სასწავლო, სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერა, რაც მოიცავს ჩამოთვლილი კომპონენტების ნებისმიერ ასპექტს, რომლის რეალიზაციისთვისაც საინფორმაციო ტექნოლოგიები წარმატების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს (საინფორმაციო სისტემები, ცალკეული პროგრამული ან აპარატული უზრუნვეყოფა და სხვა).

2.4 უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო მიმართულებების პროექტებისა და გეგმების შემუშავება, სპეციალიზებული კომპიუტერული პროგრამების შექმნა, დანერგვა და განვითარება, მათი ურთიერთთავსებადობის უზრუნველყოფა;

2.5 უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიებით მხარდაჭერა, რაც მოიცავს სპეციალური საბიბლიოთეკო საინფორმაციო სისტემების მხარდაჭერას აპარატურის, პროგრამული უზრუნველყოფის და საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების მიმართულებით.

2.6 უნივერსიტეტის სისტემაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების წესებისა და ნორმების შემუშავება, აგრეთვე სისტემის ელექტრონული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

2.7. თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის განკარგულებაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის და ტექნოლოგიების რეგისტრაცია–აღრიცხვა, ოპტიმალური განაწილება, მონიტორინგი და სტაბილური ფუნქციონირების

უზრუნველყოფა

2.8 თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების ათვისებაში უნივერსიტეტის პერსონალის ხელშეწყობა, შესაბამისი ტრენინგების ორგანიზებისა და სახელმძღვანელო-საცნობარო მასალების მოპოვება-მომზადების გზით;

2.9 საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიუჯეტის ფორმირებაში მონაწილეობა, საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული შესყიდვების პროცესის მხარდაჭერა, რაც გულისხმობს მოთხოვნების და სპეციფიკაციების ჩამოყალიბებას, შეძენის ვადების განსაზღვრას და შეძენილი აპარატურის ექსპერტიზას.

2.10 საინფორმაციო ტექნოლოგიების პოლიტიკისა და განვითარების სტრატეგიის ფორმირება საუნივერსიტეტო მასშტაბით, რაც გულისხმობს საინფორმაციო ტექნოლოგიების როლის განსაზღვრას უნივერსიტეტის საქმიანობის ერთიან ჩარჩოში და მისი შესაბამისობის უზრუნველყოფას ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიის მუდმივ ცვლილებებთან.

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი. დეპარტამენტის სტრუქტურაში შედიან დეპარტამენტის განყოფილებები.

2. დეპარტამენტის უფროსს უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

3. დეპარტამენტს უფროსს ჰყავს მოადგილე.

4. დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, განყოფილების უფროსებსა და თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით.

5. დეპარტამენტის უფროსის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), აგრეთვე დეპარტამენტის უფროსის დავალების შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

6. დეპარტამენტი შედგება შემდეგი განყოფილებისაგან:

ა) ტექნიკური მხარდაჭერის განყოფილება;
ბ) ქსელისა და სერვერული სისტემების განყოფილება;
გ) ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილება;
დ) პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილება.

7. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით დეპარტამენტისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, დეპარტამენტის განყოფილების უფროსი, დეპარტამენტის განყოფილების მთავარი სპეციალისტი და დეპარტამენტის განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

8. დეპარტამენტის უფროსი

1. ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;
2. ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის განყოფილებებსა და თანამშრომლებს შორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
3. წარმოადგენს დეპარტამენტს, დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

4. ზედამხედველობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
5. ხელს აწერს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებული დოკუმენტების პროექტების ვიზირებას;
6. შუამდგომლობს რექტორთან და ადმინისტრაციის უფროსთან სახსრების გამოყოფის თაობაზე, რომელიც საჭიროა დეპარტამენტის ამოცანების შესასრულებლად;
7. წარადგენს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული ყოველწლიური საქმიანობის შესახებ, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;
8. ორგანიზებას უწევს ამ დებულებით დეპარტამენტისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;
9. წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს დეპარტამენტის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, დეპარტამენტის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
10. შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია დეპარტამენტის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;
11. პერიოდულად ისმენს დეპარტამენტის განყოფილებებისა და თანამშრომლების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
12. შუამდგომლობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;
13. ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

9. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

1. ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვა კოორდინაციასა და ორგანიზაციაში;
2. ახორციელებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის სამსახურებრივი საკითხების შესახებ კონსულტაციის გაწევას;
3. უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის სფეროში დეპარტამენტის ფუნქციების განხორციელებას;
4. დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და დეპარტამენტის უფროსის დავალებებს.
5. რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძრღვანელის და დეპარტამენტის უფროსის დავალებით ასრულებს სხვა დავალებებს.

10. დეპარტამენტის განყოფილების უფროსი:

1. ხელმძღვანელობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას;
2. ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომლებს შორის, დეპარტამენტის უფროსის მითითებების შესაბამისად, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს და აძლევს დავალებებს;

3. ხელს აწერს განყოფილებაში მომზადებულ დოკუმენტებს;

4. ამზადებს განყოფილების საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს დეპარტამენტის უფროსს;

5. ორგანიზებას უწევს განყოფილებისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც დეპარტამენტის უფროსს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;

6. პასუხისმგებელია განყოფილების საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე.

11. **ტექნიკური მხარდაჭერის განყოფილების ფუნქციები:**

1. უნივრსიტეტის სტრუქტურული ერთეულების აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის, მონიტორინგი და გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა;

2. კლიენტური აპარატული მოწყობილობების (პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, ნეთბუქტები და პლანშეტები) მხარდაჭერა და წვრილმანი რემონტი, ქსელური და სატელეფონო საკაბელო ინფრასტრუქტურის ინსტალაცია, რემონტი და მხარდაჭერა, კლიენტური საოპერაციო სისტემების მხარდაჭერა, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა.

3. კომპიუტერული ქსელისა და სხვა საკაბელო ინფრასტრუქტურის ინსტალაცია-მონტაჟი.

4. უნივერსიტეტის საბეჭდი, ასლგადამღები და სკანირების მოწყობილობების მხარდაჭერა და მათი სახარჯი მასალების მიწოდება/ინსტალაციის უზრუნველყოფა.

5. უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის ტექნიკური კონსულტაცია ტელეფონის საშუალებით ან დისტანციურად დახმარების აღმოჩენა.

12. **ქსელისა და სერვერული სისტემების განყოფილების ფუნქციები:**

1. უნივერსიტეტისა და მასში შემავალი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ერთეულების კომპიუტერული ქსელის დაგეგმვა, ფუნქციონირების მხარდაჭერა და მონიტორინგი;

2. პროვაიდერებისაგან მოწოდებული ინტერნეტ სერვისების გადანაწილება, მიწოდება და მონიტორინგი უნივერსიტეტის კორპუსებისათვის;

3. უნივერსიტეტის სერვერული პარკისა და ქსელის მართვის მოწყობილობების (მარშრუტიზატორები, კომუტატორები, ფაირვოლები, უსადენო წვდომის წერტილები) გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მათი კონფიგურირება და ადმინისტრირება;

4. WWW, DNS, SMTP, FTP, e-Learning, VPN და სხვა სერვისების გამართვა და ადმინისტრირება; უნივერსიტეტის სასწავლო, საფინანსო და სხვა მონაცემთა ბაზების ტექნიკური ადმინისტრირება;

5. უნივერსიტეტის სისტემაში ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების კონტროლი.

6. ვიდეოკონფერენციების კომუნიკაციური უზრუნველყოფა უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის;

7. მნიშვნელოვანი მონაცემების პერიოდული დაარქივება და შენახვა;

8. სერვერებისა და კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოობის უზრუნველყოფა როგორც გარე შეტევების დეტექტირებისა და აღკვეთის, ასევე შიდა ქსელიდან წარმოქმნილი მავნე

ქმედებების აღკვეთის სახით;

9. კომპიუტერულ ქსელში დაშვების დონეების პოლიტიკის ჩამოყალიბება და მისი რეალიზაცია;

10. უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის განვითარებისათვის საჭირო კვლევისა და ანალიზის წარმოება და რეალიზაცია;

11. სხვადასხვა სახის კონსულტაციების გაწევა, როგორც დეპარტამენტის სხვა განყოფილებების, ასევე უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის;

13. **ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილების ფუნქციები:**

1. ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის კომპიუტერული რესურს ცენტრების მუშაობას;

2. ახდენს კომპიუტერული ტექნიკისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების აღრიცხვასა და მონიტორინგს;

3. უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სივრცეში არსებული კომპიუტერული ტექნიკის გამართულად მუშაობის მიზნით შესაბამისი მაკომპლექტებელი მარაგების შექმნას;

4. ახორციელებს შესაძენი აპარატურის ტექნიკური მოთხოვნებისა და სახელმწიფო შესყიდვების მასალების მომზადებას, მონაწილეობს შეძენილი აპარატურის გამართვასა და დანერგვაში;

5. ახორციელებს შესყიდული აპარატურის ექსპერტიზას და ადგენს მოთხოვნებთან შესაბამისობას;

6. ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს თსუ ფაკულტეტებზე, სასწავლო კორპუსებსა და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელ პირებს.

14. **პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილების ფუნქციები:**

1. უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების გაცნობის საფუძველზე უნივერსიტეტსა და მის აპარატში ახალი პროგრამების შესაძლო დანერგვის საკითხების შემუშავება და რეალიზება;

2. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო საქმიანობის თანამედროვე დონეზე განხორციელებისათვის საჭირო ავტომატიზებული სისტემებისა და პროექტების შემუშავება;

3. უნივერსიტეტის ვებ - და ინტრანეტ პორტალებზე ინფორმაციული რესურსების განთავსება და ადმინისტრირება;

4. მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვა და მათი განვითარების უზრუნველყოფა;

5. უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერიო – კვლევითი საქმიანობისა და ადმინისრტაციის მიზნებისათვის გამოყენებული საინფორმაციო სისტემების საჭიროების შესწავლა, დაგეგმვა, ფუნქციონალის სპეციფიკაცია, დანერგვა და უკვე არსებული სისტემების მხარდაჭერა/ოპტიმიზაცია (აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტუდენტთა სწავლების მართვის სისტემებით (სპმს), ფინანსური და ადმინისტრაციული მართვის სისტემებით (Oris Manager, ERP), კორპორაციული კონტენტის მართვის/დოკუმენტბრუნვის სისტემებით და ა.შ.).

მუხლი 4. დეპარტამენტის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია

დეპარტამენტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილება №127/2013
18 ნოემბერი, 2013

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესი” (დანართი №1).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ივლისის დადგენილება №244 „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“.
3. აღნიშნული დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
5. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
რექტორი

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესი

მუხლი 1. არჩევნების გამოცხადება

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (შემდგომში - სენატი) წევრთა არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

2. რექტორის სამართლებრივი აქტი სენატის წევრთა არჩევნების შესახებ უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას.

მუხლი 2. საარჩევნო კომისია და მისი უფლებამოსილება

1. არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით იქმნება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

2. საარჩევნო კომისია შედგება 9 წევრისაგან. საარჩევნო კომისიის წევრთა შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით.

3. არჩევნების სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებიდან გამომდინარე საარჩევნო კომისიაში შესაძლებელია შეყვანილი იქნას სტუდენტური თვითმმართველობისა და არჩევნების ორგანიზებაში მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

4. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით. კომისია ვალდებულია, არჩევნები ჩაატაროს უნივერსიტეტის წესდებისა და სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 3. კომისიის თანამდებობის პირები

1. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე მისივე შემადგენლობიდან კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.

2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ახორციელებს მის კომპეტენციაში შემავალ სხვა უფლებამოსილებებს.

3. კომისიის მდივანი ადგენს კომისიის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს, რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შეტანილ კორესპოდენციას, რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს, ადგენს არჩევნების შემაჯამებელ ოქმებს და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. საარჩევნო კომისიას გადაწყვეტილების მიღება შეუძლია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
5. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის სხვა წევრები ამ წესით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად შესაძლებელია იღებდნენ ანაზღაურებას.

მუხლი 4. თანამდებობრივი შეუთავსებლობა
საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირი, აგრეთვე, არჩევნებში მონაწილე კანდიდატი.

მუხლი 5. არჩევნების ჩატარება
1. სენატი აირჩევა 4 წლის ვადით უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ამ ერთეულებზე სენატის არჩევის მომენტში მათი რაოდენობის პროპორციულად. სენატის შემადგენლობაში ასევე შედის აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.
2. სენატის წევრთა მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს აკადემიური საბჭოს წევრთა ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები.
3. სტუდენტები შეადგენენ სენატის სრული შემადგენლობის ერთ მესამედს.
4. პროფესორისა და სტუდენტისათვის სენატის წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია უნივერსიტეტთან მისი შესაბამისი აკადემიური ან/და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.
5. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში
წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად იმავე ვადით.
6. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.

მუხლი 7. არჩევნების ორგანიზება და ჩატარების წესი
1. სენატში სტუდენტებს ირჩევს ფაკულტეტის სტუდენტების ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ფაკულტეტის ყველა სტუდენტი. დოქტორანტი, მათ შორის ასისტენტ-პროფესორი დოქტორანტი არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი.

2. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ყველა პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორი, გარდა დოქტორანტისა.
3. სენატში არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგის მქონე იმდენი კანდიდატი, რამდენ ადგილზეც გამოცხადდა არჩევნები.
4. იმ შემთხვევაში თუ კენჭისყრაში მონაწილე კანდიდატებმა მიიღეს ხმების თანაბარი ოდენობა და ვერ ხერხდება შესაბამისი რაოდენობის გამარჯვებულის გამოვლენა, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით.
5. კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.
6. არჩევნების დღეს იკრძალება კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.
7. წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ:
ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;
ბ) ადმინისტრაციულ პერსონალს.
8. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებებით, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.
9. წინასაარჩევნო აგიტაციამ და კამპანიამ არ უნდა შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესს.

მუხლი 8. საარჩევნო სიები

1. საარჩევნო სიებს ამტკიცებს საარჩევნო კომისია პერსონალის მართვის, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტისა და შესაბამისი ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე.
2. ფაკულტეტის საარჩევნო სია გადაეცემა საარჩევნო კომისიას.

მუხლი 9. კანდიდატთა რეგისტრაცია

1. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 7 დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 1 დღის განმავლობაში.
2. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს გაცნობიდან 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას საარჩევნო კომისია იღებს 1 დღის განმავლობაში.

მუხლი 10. არჩევნების პროცედურა

1. საარჩევნო ბიულეტენის ფორმას ამტკიცებს საარჩევნო კომისია.
2. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.

3. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:
ა) შესაბამისი ფაკულტეტის სახელწოდება;
ბ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი.
4. საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა პირზე, მხოლოდ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.
5. კენჭისყრის დღეს ფაკულტეტის ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ამის შემდეგ ამომრჩეველი მიდის ხელმომწერ კომისიის წევრთან, რომელიც საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის გრაფაში აწერს ხელს. ხმის მიცემა ხორციელდება სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში. მას შემდეგ, რაც ამომრჩეველი წრიულად შემოხაზავს მისთვის სასურველ ერთ კანდიდატურას, აგდებს საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო ყუთში. კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა დაცული იქნება.

მუხლი 11. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრა იწყება არჩევნების დღეს 10.00 საათზე და მთავრდება იმავე დღეს 17.00 საათზე.
2. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას ცალ-ცალკე, რაც ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.
3. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს. მიღებული ხმების დათვლა ხდება ცალ-ცალკე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის.
4. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:
ა) არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;
ბ) თუ არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატურა;
გ) თუ შემოხაზულია ერთზე მეტი კანდიდატურა;
დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.
5. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:
ა) ფაკულტეტის ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;
ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;
გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;
დ) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
ე) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

მუხლი 12. დამკვირვებელი

1. არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან არჩევნების არა უგვიანეს 3 დღით ადრე მიმართონ საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.

2. იურიდიული პირი არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსს განახორციელებს მისი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელთა ვინაობა მიეთითება დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენილ განცხადებაში.

3. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:

ა) ასარჩევი კანდიდატი;

ბ) ადმინისტრაციული პერსონალის წევრი;

გ) იმ ფაკულტეტის ამომრჩეველი, სადაც ითხოვს დამკვირვებლად მონაწილეობას.

4. დამკვირვებელი უფლებამოსილია დაესწროს საარჩევნო კომისიის მუშაობას არჩევნების დღეს და საჩივრის განხილვის პროცესში. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითოს კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა.

5. დამკვირვებელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას.

6. საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან ხელი არ შეუშალონ დამკვირვებელს.

მუხლი 13. დარღვევის ოქმი

არჩევნების დღეს ამ წესით დადგენილი პროცედურის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი ან შესაბამისი ფაკულტეტის ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:

ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი;

ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი;

გ) დარღვევის შინაარსი;

დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;

ე) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა ან აღნიშვნა მის ხელმოწერაზე უარის თქმის შესახებ;

ვ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;

ზ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

მუხლი 14. არჩევნების შედეგების გამოცხადება

არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს. საარჩევნო კომისია ვალდებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოაკრას არჩევნების შედეგების აქტი.

მუხლი 15. არჩევნების შედეგების გასაჩივრება

1. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს, საარჩევნო კომისიის წევრს ან შესაბამისი ფაკულტეტის ამომრჩეველს

უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.
2. საარჩევნო კომისია ვალდებულია საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს იგი და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

მუხლი 16. საბოლო შედეგების გამოქვეყნება
1. საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგებს ამტკიცებს შემაჯამებელი აქტით.
2. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 17. სენატის პირველი სხდომის მოწვევა
სენატის პირველ სხდომას იწვევს რექტორი, საბჭოს არჩევნებიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

დადგენილება №126/2013
18 ნოემბერი, 2013

„ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტისა და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტისა და იურიდიული დეპარტამენტის 15.11.2013, №35906/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31/2012 დადგენილების პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართ №1-ში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით (დანართი №1).
2. შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31/2012 დადგენილების პირველი ნაწილის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართ №2, დანართ №3 და დანართ №4-ში და ჩამოყალიბდნენ შემდეგი რედაქციით (დანართი №2), (დანართი№3), (დანართი №4).
3. შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31/2012 დადგენილების სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“.
4. აღნიშნული დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
5. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
6. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
რექტორი

<u>დანართი №1</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი (ტექსტში შემდგომ - ,,წესი“) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის“, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2. წესის მიზანია უზრუნველყოს სსიპ - „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (ტექსტში შემდგომ - ,,უნივერსიტეტი“ ან ,,დაწესებულება“) აკადემიური პერსონალის დაკომპლექტება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა, დაწესებულების აკადემიური და სამეცნიერო მიზნების, აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველისა და უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით, კონკურსის საჯაროობის, უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტისათვის მისი ერთიანობის, ღიაობის, გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების განუხრელი დაცვით.

3. წესის დანიშნულებაა, მასში გათვალისწინებული დებულებებისა და პროცედურების მეშვეობით უზრუნველყოს დაწესებულების მოთხოვნებისა და პრეტენდენტის ნიჭის, უნარების, პოტენციალისა და შესაძლებლობების ობიექტური შეფასება, მათი ერთმანეთთან ურთიერთშეჯერებისა და საერთო ინტერესების მომცველი შრომითსამართლებრივი კავშირის ჩამოყალიბება, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის დამყარება უნივერსიტეტის კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2. საკონკურსო თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები

1. უნივერსიტეტის პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.
3. უნივერსიტეტის ასისტენტ–პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.
4. უნივერსიტეტის ასისტენტად 3 (სამი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორანტი.
5. პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლის პირველი – მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა, განისაზღვრება უნივესიტეტის რექტორის ბრძანებით, რომლითაც ცხადდება კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. ასეთ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
5. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე 65 წელს გადაცილებული პირის არჩევის წესი და პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება

1. პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ–პროფესორისა და ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი.
2. კონკურსი პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად ცხადდება და ტარდება სხვა აკადემიური თანამდებობების დაკავების მიზნით გამოსაცხადებელი (ჩასატარებელი) კონკურსებისაგან დამოუკიდებლად.
3. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე შესაძლებელია გამოქვეყნდეს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებად პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. ზუსტი ვადა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
4. კონკურსის ჩატარების სხვა აუცილებელი ვადები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკონკურსო ვადა სრულდება უნივერსიტეტისათვის არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, კონკრეტული საკონკურსო ვადის დასრულების დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

მუხლი 4. საკონკურსო კომისია

1. კონკურსს ატარებს საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობა მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, უნივერსიტეტის რექტორის წარდგინებით.

2. საკონკუსრო კომისია შესაძლებელია შედგებოდეს უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებისა და შესაბამისი დარგის მოწვეული (მათ შორის უცხოელი) სპეციალისტებისაგან. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შექმნას ერთდროულად რამდენიმე საკონკურსო კომისია ფაკულტეტების მიხედვით.

3. კომისიის მუშაობისას, საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაძლებელია მოწვეულ იქნას შესაბამისი დარგის ექსპერტი/ექსპერტები.

4. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წარმომადგენლების, სტრუქტურული ერთეულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისა და შესაბამისი დარგის სპეციალისტების რაოდენობა არ შეიძლება იყოს კომისიის სრული შემადგენლობის 2/3-ზე ნაკლები.

5. კომისიის შემადგენლობაში უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე/მოადგილეები, კომისიის მდივანი (გამონაკლის შემთხვევებში კომისიის სამდივნო, რომელიც შედგება კომისიის არანაკლებ ორი წევრისაგან).

6. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ამავე კონკურსში მონაწილეობს კონკურსანტის ან პრეტენდენტის სტატუსით, ან პირი რომელიც კონკურსანტისა თუ პრეტენდენტის ახლო ნათესავია.

7. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის 2/3.

8. კომისია თავის შესასრულებელ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, რაც არ უნდა იყოს კომისიის სიითი შემადგენლობის 1/2-ზე ნაკლები. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

9. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ასეთ შემთხვევაში სარგებლობს თავმჯდომარის უფლებამოსილებებით. იმ შემთხვევაში, როდესაც კომისიის თავმჯდომარეს ჰყავს ერთზე მეტი მოადგილე, კომისიის სხდომაზე მათგან აირჩევა სხდომის თავმჯდომარე. კვორუმის არსებობისა და კომისიის მდივნის ან სამდივნოს სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კომისიის სხდომის მდივნის არჩევის შესახებ, რომელიც პასუხისმგებელია კომისიის ამ სხდომის ოქმის შედგენაზე.

10. საკონკურსო კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ (მათ შორის კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით, რომელიც ექვემდებარება საჯაროდ გამოქვეყნებას კომისიის ფუნქციონირების ადგილზე).

11. გარდა წინამდებარე წესით გათვალისწინებული გადაწყვეტილებებისა, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები ქვეყნდება საჯაროდ უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
12. საკონკურსო კომისიის საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის ოქმებში.
13. საკონკურსო კომისიის სხდომა დახურულია.
14. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი კომისიის მუშაობის პროცესში და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ კონკურსის შედეგების გამოქვეყნებამდე.
15. დაუშვებელია საკონკურსო კომისიასა ან მის რომელიმე წევრზე (წევრებზე) კონკურსტანტის ან პრეტენდენტის მიერ, ან/და მათი სახელით, რაიმე სახის ან ფორმის ზეწოლა საკონკურსო კომისიაში მისი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ,,ახლო ნათესავში" იგულისხმება ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები.

მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, საკონკურსო დოკუმენტაცია, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით, წარუდგინოს უნივერსიტეტის იმ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატს, რომლის აკადემიური პერსონალის ვაკანტურ თანამდებობებზეც გამოცხადებულია კონკურსი და რომელშიც კონკურსანტს სურს მონაწილეობა.
2. საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატი მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველი კონკურსში მონაწილეობისათვის ვალდებულია, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატს წარუდგინოს განცხადება (წინამდებარე წესის დანართი N1) კონკურსში მონაწილეობის შესახებ (კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარდგენილი იქნას ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე).
4. კონკურსში მონაწილეობის მსურველი კონკურსში მონაწილეობისათვის ვალდებულია, წარდგენილ განცხადებას დაურთოს კონკურსანტის შევსებული ანკეტა (წინამდებარე წესის დანართი N2) და შესაბამისი დოკუმენტაცია (კონკურსანტის ანკეტის დამტკიცებული ფორმის/შევსების წესის დაცვა სავალდებულოა).
5. კონკურსანტის შევსებული ანკეტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა, როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით.
6. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ ანკეტა შევსებული უნდა იქნას სრულად და მას უნდა ერთვოდეს ანკეტაში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან

პირის მიერ გაცემული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა აუცილებელი დოკუმენტი ან მასალა.

7. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

8. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ წარდგენილი დოკუმენტები მოწმდება და ილუქება საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისათვის გადაცემული ფაკულტეტის კანცელარიის ბეჭდით საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატის მიერ კონკურსანტის თანდასწრებით (გარდა კონკურსანტის მიერ დასწრებაზე უარის განცხადებისა).

9. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ დარღვეული იქნება წინამდებარე მუხლის მე-3 - მე-6 პუნქტების მოთხოვნები, მას ეძლევა ხსენებული დარღვევ/ებ/ის გამოსწორების ვადა, განაცხადების, კონკურსანტის ანკეტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის განმეორებით წარმოდგენის მიზნით, მაგრამ არაუმეტეს საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებული საკონკურსო განცხადებების /დოკუმენტაციის/ მიღების ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღისა.

10. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ წინამდებარე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული პროცედურისა და/ან ვადების დარღვევის შემთხვევაში საკონკურსო განცხადება მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

მუხლი 6. საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება, კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპი

1. საკონკურსო დოკუმენტაცია შესაბამის საკონკურსო კომისიას გადაეცემა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატის მიერ, საკონკურსო განცხადებების მიღების დასრულებიდან არაუადრეს მესამე დღისა დალუქულ მდგომარეობაში, საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატის უფროსის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებულ საკანცელარიო აღწერის დოკუმენტთან ერთად.

2. საკონკურსო დოკუმენტაცია იხსნება საკონკურსო კომისიის სხდომაზე.

3. საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის განცხადების, კონკურსანტის ანკეტისა და დოკუმენტაციის სისრულესა და შესაბამისობას ამ წესის მე-5 მუხლში მოყვანილ მოთხოვნებთან და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილია, მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

4. საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის ანკეტის ინფორმაციის სისწორეს და არასწორი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილია მიიღოს წერილობით გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

5. საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსანტს მის მიერ წარმოდგენილი კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე ამ წესით დამტკიცებული კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (წინამდებარე წესის დანართი N3).

6. კონკურსანტის შეფასების ფორმის პირველი კატეგორიის (რომელიც ეფუძნება ამ წესის მე-2 მუხლს) უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, კონკურსანტი შემდგომ კატეგორიებში არ ფასდება და საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, მიიღოს წერილობით გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.
7. კომისია კონკურსანტის ანკეტაში მოცემული ინფორმაციის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სხვა სახის ინფორმაციის საფუძველზე, აფასებს კონკურსანტს, ავსებს კონკურსანტის შეფასების ფორმას სრულად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით კონკურსანტის მიერ მე-2 და მე-3 კატეგორიაში ფიქსირდება შეფასება არანაკლებ ,,საშუალო" ანიჭებს კონკურსანტს პრეტენდენტის სტატუსს.
8. საკონკურსო კომისია ყველა შესაფასებელი კონკურსანტის შეფასების ეტაპის დასრულების შემდგომ იღებს წერილობით გადაწყვეტილებას კონკურსში მონაწილე პრეტენდენტების ზეპირ გასაუბრებაზე მოწვევის შესახებ და ამტკიცებს ამ პირთა სიას. კომისია ასევე იღებს გადაწყვეტილებას ზეპირი გასაუბრების განრიგის დამტკიცების თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს გასაუბრების თარიღ/ებ/ს.
9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, დაამტკიცოს იმ პირთა სია, რომელთაც არ მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი.
10. კონკურსანტთა და პრეტენდენტთა კონკურსანტის ანკეტისა ან/და შეფასების ფორმის, აგრეთვე, მათში არსებული ინფორმაციის ნებისმიერი სახითა თუ ფორმით გაცემა სხვა პირზე დაუშვებელია, იმ კონკურსანტის ან პრეტენდენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული და ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი თანხმობის გარეშე, ვისი ანკეტა ან/და შეფასების ფორმა ან მათში არსებული ინფორმაციაა მოთხოვნილი.

მუხლი 7. გასაუბრება, შეფასების მეორე ეტაპი

1. გასაუბრება ტარდება საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილ ადგილას და დროს. გასაუბრების მიზანია დაზუსტდეს ან/და დაკონკრეტდეს პრეტენდენტის თაობაზე არსებული ინფორმაცია, შეფასდეს პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის უნარი, ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომითი და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის სფეროსთან.
2. პრეტენდენტი ვალდებულია გამოცხადდეს გასაუბრებაზე მისთვის განსაზღვრულ სავარაუდო დროს. დაშვებულ დროზე მეტი ხნით დაგვიანების შემთხვევაში საკონკურსო კომისიას გააჩნია უფლებამოსილება, პრეტენდენტის გასაუბრება ჩაატაროს მხოლოდ იმავე დღეს.
3. გასაუბრება წარმოადგენს პრეტენდენტის შეფასების მეორე ეტაპს.

4. გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც კითხვა-პასუხის, ასევე კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტის მიერ გარკვეული საკითხების მოკლე მიმოხილვის სახით.
5. გასაუბრების მოკლე მიმოხილვა აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში.
6. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება პრეტენდენტის მიერ საცდელი ლექციის ჩატარების ან სხვა ისეთი აქტივობის განხორციელების დავალდებულების შესახებ, რომელიც გამოდგება პრეტენდენტის სრულყოფილად შეფასების დამატებით საფუძვლად.
7. პრეტენდენტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა და საცდელ ლექციაზე გამოუცხადებლობა ან მის ჩატარებაზე უარის თქმა, ასევე ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ აქტივობაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს პრეტენდენტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღება/გამარჯვებულის გამოვლენა

1. წინამდებარე წესის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია ახდენს კონკურსის შედეგების ურთიერთშეჯერებას, შეფასებას და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულ/ებ/ის გამოვლენის შესახებ.
2. ერთ აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულად ცხადდება ერთი პრეტენდენტი.
3. აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულის გამოვლენის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის მიერ ღია კენჭისყრის წესით. გამარჯვებულად ცხადდება პრეტენდენტი, რომელიც მიიღებს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის ხმების ნახევარზე მეტს.
3. ერთ საკონკურსო თანამდებობაზე არსებულ პრეტენდენტებს კენჭი ეყრებათ ცალ-ცალკე და კომისიის თითოეული წევრი ხმას აძლევს თითოეულ პრეტენდენტს. იმ შემთხვევაში, თუ ორმა ან ორზე მეტმა პრეტენდენტმა დააგროვა კომისიის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტის ხმები, გამარჯვებულად ჩაითვლება პრეტენდენტი, რომელმაც მიიღო დადებითი ხმების მეტი ოდენობა. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა, რომელშიც კომისიის თითოეული წევრი უფლებამოსილია ხმა მისცეს მხოლოდ ერთ პრეტენდენტს. ამ შემთხვევაშიც ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
4. კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით.
5. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება პრეტენდენტ/ებ/ის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ ფორმდება კომისიის შემაჯამებელი ოქმით. შემაჯამებელი ოქმი ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდება შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე მისი შედგენის მომდევნო სამუშაო დღეს. შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმის შედეგები იმავე კომისაში. კანდიდატმა საჩივარი უნდა ჩააბაროს შესაბამისი ფაკულტეტის კანცელარიაში. კომისია საჩივრებს განიხილავს ხუთი

სამუშაო დღის განმავლობაში და საბოლოო შედეგებს შემაჯამებელი ოქმის სახით უგზავნის დასამტკიცებლად აკადემიურ საბჭოს.

6. კომისიის მიერ საჩივრის განხილვის პროცესში მონაწილეობს საჩივრის წარმდგენი პირი (პრეტენდენტი) და ის დაინტერესებული პირები (პრეტენდენტები), რომელთა კანონიერ ინტესებზე შესაძლოა პირდაპირი და უშაულო გავლენა მოახდინოს საჩივრის განხილვის შედეგებმა.

7. შემაჯამებელ ოქმს აკადემიური საბჭოს სხდომაზე წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ან კომისიის მიერ არჩეული მომხსენებელი.

8. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების შესახებ;

ბ) საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის ნაწილობრივ დამტკიცებისა და შესაბამისი მითითებით საკითხის საკონკურსო კომისიისათვის დაბრუნების შესახებ;

გ) საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებაზე უარის თქმისა და შესაბამისი მითითებით საკითხის საკონკურსო კომისიისათვის დაბრუნების შესახებ.

9.კონკურსი დასრულებულად ითვლება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ ჩატარებულ კონკურსთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

10.უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ცხადდება საჯაროდ.

11.უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრებას ექვემდებარება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

საკონკურსო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის კანცელარიას. კონკურსანტსა და პრეტენდენტს, მისი წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტები (ასევე სხვა მასალების), მათი ქსეროასლები კი რჩება (მიზანშეწონილობიდან გამომდინარე) ფაკულტეტის კანცელარიაში.

დანართი N2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიას

მოქალაქე ——————————————————

——————————————————————————

——————————————————————————

(სახელი,გვარი, მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მსურს მონაწილეობა მივიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ——————————————————— ფაკულტეტის ——— აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვეთანხმები უნივერსიტეტის წესდებას, ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დაკავებისა და აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს.

თანახმა ვარ საკონკურსო კომისიის მიერ შემაჯამებელი ოქმის დადგენილი წესით გამოქვეყნების შემდგომ ჩემი საკონკურსო ანკეტისა და შეფასების ფორმის ის ნაწილი, რომელიც არ შეიცავს პირად ინფორმაციას დაინტერესებული პირის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში გაცემული იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერა: ——————————————

თარიღი: ——————————————

საკონტაქტოინფორმაცია:

ტელეფონი/ ელ.ფოსტა

დანართი N3

კონკურსანტის ანკეტა

ა) პირადი ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

გვარი	
სახელი	
მამის სახელი	
დაბადების თარიღი	
მოქალაქეობა	
მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	
ბოლო სამსახურებრივი პოზიცია	

ბ) საკონკურსო პოზიცია

	☐ სრული პროფესორი	☐ ასოცირებული პროფესორი	☐ ასისტენტ პროფესორი
ფაკულტეტი *(საკონკურსო თანამდებობის სრული დასახელება)*			

I. კატეგორია: განათლება, აკადემიური ხარისხი და სამსახურებრივი გამოცდილება

1.1 განათლება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ფაკულტეტი	ჩარიცხვისა და დამთავრების წლები	კვალიფიკაცია

1.2 აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი *(PhD/ საკანდიდატო დისერტაციის დაცვა ; ჰაბილიტაცია/სადოქტორო დისერტაციის დაცვა)*

დისერტაციის დაცვის თარიღი	
დისერტაციის თემა	
მინიჭებული კვალიფიკაცია	
კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი	

1.3 სამსახურებრივი გამოცდილება

თარიღი	დაწესებულების დასახელება და დაკავებული თანამდებობა

1.4 **პედაგოგიური სტაჟი**

6 წელზე მეტი ☐	6 წელზე ნაკლები ☐

აკრედიტებული/ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სწავლების საფეხური	სასწავლო კურსები

1.5 **შეთავსებით მუშაობა**

თარიღი	დაწესებულების დასახელება და დაკავებული თანამდებობა

1.6 **ინფორმაცია კლინიკური ბაზის შესახებ წარმოდგენილი დანართის სახით მედიცინის ფაკულტეტის კონკურსანტებისათვის, რომელიც შეიცავს:**

თანხმობის წერილს იმ კლინიკური ბაზის/ბაზების ხელმძღვანელისაგან, სადაც უნდა განხორციელდეს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი პროცესი;

კლინიკური ბაზის/ბაზების ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს;

კლინიკურ ბაზაზე/ბაზებზე არსებულ სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი სივრცის აღწერილობას და სასწავლო პროცესისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალს.

II. კატეგორია: საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი პედაგოგიური და სასწავლო–მეთოდური საქმიანობა

2.1 პედაგოგიური გამოცდილება

საერთო პედაგოგიური სტაჟი						
NN	ბოლო 6 წლის განმავლობაში წაკითხული კურსები *კურსის დასახელება*	ლექცია	პრაქტიკული/ სემინარი	ლაბორატორიული სამუშაო	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	წელი
1						
2						
3						

2.2 სასწავლო–მეთოდური საქმიანობა

სახელმძღვანელო (მათ შორის დამხმარე)	
NN	*სახელმძღვანელოს/სალექციო კურსის დასახელება, გამოცემის წელი* (ელექტრონული კურსებისთვის - ელ.მისამართი)
1	
2	
სალექციო კურსები (გამოქვეყნებული/ ელექტრონული) (ელექტრონული კურსებისთვის - ელ.მისამართი)	

1	
2	

2.3 კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები

თარიღი	კურსების/ტრენინგების დასახელება	დიპლომის/სერტიფიკატის ნომერი

2.4 სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წაკითხვა შეუძლია კონკურსანტს (პრიორიტეტი ენიჭება თსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის კურსთან მიმართებით წარმოდგენილ ინფორმაციას)

NN	კურსის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამა	ლექცია	პროექტიანი /სემინარი	ლაბორატორიული სამუშაო
1					
2					
3					

2.5 **წარმოდგენილი სილაბუსები** *(წარმოადგინეთ დანართის სახით)*

NN	კურსის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამა	მეცადინეობის ფორმა		
			ლექცია	პრაქტიკული /სემინარი	ლაბორატორიული სამუშაო
1					
2					
3					

III. კატეგორია: სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა:

3.1 პუბლიკაციები იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში კონკურსანტის შეხედულებისამებრ *(ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით)*

N	ავტორები ყველა თანაავტორის მითითებით, კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით	ნაშრომის სათაური	ჟურნალის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები.	გამოქვეყნების წელი	ჟურნალის იმპაქტ ფაქტორი	ციტირების რაოდენობა

3.2 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები კონკურსანტის შეხედულებისამებრ *(ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით)*

N	ავტორები ყველა თანაავტორის მითითებით; კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით	პუბლიკაციის სახეობა (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვა)	პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/ გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში).	გამოქვეყნების წელი	ციტირებების რაოდენობა

3.3 პატენტები (გამოგონებები)

№	გაცემის წელი	პატენტის დასახელება	პატენტის გამცემი ორგანიზაცია	პატენტის სარეგისტრაციო ნომერი

3.4 ციტირების ინდექსი, h და g ინდექსები *(მიუთითეთ ინფორმაციის შესაბამისი წყარო)*

ციტირების ინდექსი	h-ინდექსი	g-ინდექსი

3.5 კონკურსანტის მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში

1	თარიღი	
	მოხსენების სათაური	
	კონფერენციის დასახელება	
	ჩატარების ადგილი	
	ელექტრონული მისამართი	
2	თარიღი	
	მოხსენების სათაური	
	კონფერენციის დასახელება	
	ჩატარების ადგილი	
	ელექტრონული მისამართი	

3.6 საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში

№	განხორციელების წლები	დონორი ორგანიზაცია, პროექტის/ხელშეკრულების №	პროექტის დასახელება	როლი პროექტში

3.7 თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან *(უცხოეთის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრთან ერთობლივ სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, მივლინება/სტიპენდია/სტაჟირება და სხვ.)*

თანამშრომლობის ფორმა	უნივერსიტეტის / სამეცნიერო ცენტრის დასახელება	დაწყებისა და დასრულების თარიღი

3.8 საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი

პუბლიკაციის სახეობა	პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი	გამოქვეყნების წელი

3.9 სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილი[1] *(წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის სახით)*

IV. კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)

(მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, ჯილდო, სტიპენდია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, სტუდენტის ხელმძღვანელობა, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება თსუ–ში სწავლით, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვა)

N	აქტივობის დასახელება

დამატებითი ინფორმაცია

[1] სამეცნიერო კვლევების კონცეფციის წარმოდგენა სავალდებულოა მხოლოს იმ აპლიკანტებისთვის, რომელთაც სურთ სრული ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება, ასიტენტ–პროფესორები წარმოადგენენ სამოტივაციო წერილს.

N	

ინფორმაციის სისწორეს ვადასტურებ

.....

ხელმოწერა გარკვევით

თარიღი

შენიშვნა: კონკურსანტმა ანკეტა (თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად) უნდა წარმოადგინოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით.

დანართი N4

კონკურსანტის შეფასების ფორმა

ა) ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ

გვარი	
სახელი	
მამის სახელი	

ბ) საკონკურსო პოზიცია

	☐ სრული პროფესორი	☐ ასოცირებული პროფესორი	☐ ასისტენტ პროფესორი
ფაკულტეტი *(საკონკურსო თანამდებობის სრული დასახელება)*			

შ ე ფ ა ს ე ბ ა

I კატეგორია: ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

1.1 განათლება

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.2 აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.3 სამსახურებრივი გამოცდილება

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.4 პედაგოგიური სტაჟი
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.5 შეთავსებით მუშაობა
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.6 ინფორმაცია კლინიკური ბაზის შესახებ (მხოლოდ მედიცინის ფაკულტეტისათვის)
წარმოდგენილია: დიახ ☐ არა ☐

საერთო შეფასება I კატეგორიის მიხედვით:

კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს ☐	**კვალიფიკაცია ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს ☐**

II კატეგორია: პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

2.1 პედაგოგიური გამოცდილება
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

2.2 სასწავლო–მეთოდური საქმიანობა
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

2.3 კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

2.4 სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წაკითხვა შეუძლია კონკურსანტს:

ა) შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებია:

სწავლების საფეხური	კურსების რაოდენობა	კურსის სახელწოდება	შენიშვნა
ბაკლავრიატი			
მაგისტრატურა			
დოქტორანტურა			
პროფესიული			
სხვა საგანმანათლებლო პროგრამა			

ბ) შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან შესაბამისი პროფილის თსუ–ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილი **არ არის:**

სწავლების საფეხური	კურსების რაოდენობა	კურსის სახელწოდება	შენიშვნა
ბაკლავრიატი			
მაგისტრატურა			
დოქტორანტურა			

პროფესიული			
სხვა საგანმანათლებლო პროგრამა			

გ) შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან სამომავლოდ (პროგრამებში ცვლილების შეტანის შემდეგ) **შეიძლება კურსად განხილულ იქნას:**

სწავლების საფეხური	კურსების რაოდენობა	კურსის სახელწოდება	შენიშვნა
ბაკლავრიატი			
მაგისტრატურა			
დოქტორანტურა			
პროფესიული			
სხვა საგანმანათლებლო პროგრამა			

2.5 წარმოდგენილი სილაბუსები

ა) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა **სრულად შეესაბამება** თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს ☐

ბ) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა **ნაწილობრივ შეესაბამება** თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს ☐

გ) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა არ შეესაბამება თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს ☐

საერთო შეფასება II კატეგორიის მიხედვით:

მაღალი	საშუალო	დაბალი

III კატეგორია: სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა:

3.1 პუბლიკაციების იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში	
3.2 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვა)	
3.3 პატენტები (გამოგონებები)	
3.4 ციტირების ინდექსი - ... ; *h* - ინდექსი - ...; *g-ინდექსი*	
3.5 მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში	
3.6 საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში	
3.7 თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან	

3.8 საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი

3.9 სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილი[1]

[1] სამეცნიერო კვლევების კონცეფციის წარმოდგენა სავალდებულოა მხოლოდ იმ აპლიკანტებისთვის, რომელთაც სურთ სრული ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება, ასიტენტ–პროფესორები წარმოადგენენ სამოტივაციო წერილს.

საერთო შეფასება III კატეგორიის მიხედვით:

შეფასება	**მაღალი**	**საშუალო**	**დაბალი**
ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას , საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას			
ხელს შეუწყობს თსუ–ს ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას			

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)

4.1 *(მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, ჯილდო, სტიპენდია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, სტუდენტის ხელმძღვანელობა, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება თსუ–ში სწავლით, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვა)*

4.2 დამატებითი ინფორმაცია

4.3 კლინიკური ბაზა (მხოლოდ მედიცინის ფაკულტეტისათვის) (კლინიკური ბაზის შესაბამისობა ვაკანტური თანამდებობის შესაბამის სამედიცინო პროფილთან; კლინიკური ბაზის შესაძლებლობა უზრუნველყოს სასწავლო-პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობა (შესაბამისი ფართი და ინფრასტრუქტურა, სამედიცინო აქტიობა)

შეფასება	**მაღალი**	**საშუალო**	**დაბალი**
კლინიკურ ბაზის შესაბამისობა ვაკანტური თანამდებობის შესაბამის სამედიცინო პროფილთან			
კლინიკური ბაზის შესაძლებლობა უზუნველყოს სასწავლო-პრაქტიკული და სამეცნიერო			

საქმიანობა			

საერთო შეფასება IV კატეგორიის მიხედვით

შეფასება	**მაღალი** ☐	**საშუალო** ☐	**დაბალი** ☐
ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას			
ხელს შეუწყობს თსუ–ს შემდგომ წინსვლას და განვითარებას			

შედეგების შეჯამება

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

გადაწყვეტილება .....

.....

კომისიის წევრების ხელმოწერა **თარიღი**

რეგისტრირებულია: _____ _____

თარიღი N სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით

დადგენილება №124/2013
11 ნოემბერი, 2013

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის“ შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების'' მე–8 მუხლის „უ“ და „ღ“ ქვეპუნქტების, მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ და „ხ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,
აკადემიური საბჭო ადგენს:
1. შეიქმნას „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრი“.
2. დამტკიცდეს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის“ დებულება (დანართი 1).
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
5. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
რექტორი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის დებულება

მუხლი1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების, სახელმწიფოებრიობისა და მისი მდგრადი დემოკრატიული განვითარების საკითხების შესწავლას, ექსპერტიზას და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას.
2. ცენტრი არის უნივერსიტეტის მრავალპროფილიანი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ორიენტირებულია სახელმწიფო მართვის, ეკონომიკის, ახალგაზრდული პოლიტიკის, გეოპოლიტიკის, რელიგიის, სოციოლოგიის, ისტორიის, კულტუროლოგიის, ეკოლოგიის, რეგიონალური თანამშრომლობის საკითხებისა და პრობლემების ინტერდისციპლინარულ კვლევაზე.
3. ცენტრს აქვს საკუთარი ტიტულიანი ბლანკი თსუ-ის ლოგოთი, ანგარიში და ბეჭედი, რომლის გამოყენება ხდება ცენტრის დირექტორის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და კომპეტენციები

1. ცენტრის მიზნებია:

ა) ხელი შეუწყოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებას;
ბ) აქტუალური ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების კვლევა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საქართველოს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის კონტექსტში;
გ) საერთაშორისო პრობლემების შესწავლა;

დ) კავკასიის რეგიონის ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობების კვლევა და ანალიზი;

ე) კომპლექსური რისკების შესწავლა გლობალურ და რეგიონალურ განვითარებაში;

ვ) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აქტუალური პრობლემების შესწავლა;

ზ) საქართველოსა და სხვა ქვეყნების რელიგიური გამოცდილების შესწავლა;

თ) ახალგაზრდული პოლიტიკის აქტუალური პრობლემების შესწავლა;

ი) სამეცნიერო შრომების პუბლიკაცია;

კ) სასწავლო სემინარების ჩატარება;

ლ) საექსპერტო და სამეცნიერო წრეებს შორის გამოცდილების გაზიარებისათვის ხელშეწყობა;

მ) უცხოელი და ქართველი ექსპერტების მიერ საქართველოსა და კავკასიის რეგიონში კვლევების ჩატარების ხელშეწყობა არსებული ტექნიკური ბაზისა და ექსპერტთა რჩევების გამოყენებით.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ცენტრის მუშაობას.
2. ცენტრის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობას განაგებს ცენტრის დირექტორის მოადგილე, რომელსაც ცენტრის დირექტორის წარდგინებით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.
4. ცენტრის დირექტორის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს რექტორის თანხმობით ასრულებს ცენტრის დირექტორის მოადგილე.
5. ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებს ცენტრის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი;
6. ცენტრის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.
7. ცენტრის დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში ხელშეწყობის მიზნით, ცენტრში იქმნება სათათბირო კოლეგიური ორგანო - ცენტრის საკონსულტაციო საბჭო, რომლის თავმჯდომარეა უნივერსიტეტის რექტორი.
8. საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
9. ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი დაფინანსება;
ბ) გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;
გ) ხელშეკრულების შესრულებით მიღებული შემოსავლები;
დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად ცენტრისათვის განკუთვნილი საჩუქრის სახით მიღებული შემოსავლები;
ე) კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი შემოსავლები.

მუხლი 4. ცენტრის ქონება

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

მუხლი 5.
დასკვნითი დებულებები

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილება №116/2013
21 ოქტომბერი, 2013

„ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 დეკემბრის №118/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჰ“ ქვეპუნქტისა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 17.10.2013, №32939/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 დეკემბრის №118/2012 დადგენილებით დამტკიცებულ დანართი №1-ის სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“
2. შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 დეკემბრის №118/2012 დადგენილებით დამტკიცებულ დანართი №1-ის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში – „სამსახური“) არის უნივერსიტეტის მართვის ორგანო“.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ის კანცელარიას.
4. დადგენილება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
რექტორი